ორი მატჩი

გუშინ მოსკოვში ფეხბურთში სსრ კავშირის თასზე შედგა ორი მეოთხედფინალური მატჩი. პირველად მოედანზე გამოვიდნენ მოსკოვისა და თბილისის “დინამოს” გუნდები. პირველსავე წუთებში მოსკოველებმა გახსნეს ანგარიში. თამაშის პირველი ნახევარი დამთავრდა 1:0.

მეორე ტაიმი უფრო საინტერესო გამოდგა, ორივე გუნდის კართან ხშირად იქმნებოდა სახიფათო მომენტები. თბილისელებმა რამდენჯერმე ხელიდან გაუშვეს ბურთის გატანის შესაძლებლობა. შუა ტაიმში მოსკოველმა სოლოვიოვმა ისარგებლა თბილისელთა დაცვის შეცდომით და მეორე ბურთი გაიტანა მოწინააღმდეგის კარში. ამის შემდეგ თბილისის “დინამოს” თავდამსხმელები, რომელთაც ვ. პანიუკოვიც აქტიურად ეხმარებოდა გამუდმებით ავიწროვებდნენ მოსკოველთა დაცვას. ერთ-ერთი შეტევის დროს მ. ჯოჯუამ მოწინააღმდეგის კარში გაიტანა ერთი საპასუხო ბურთი, უკანასკნელ წუთში მოსკოველებმა კიდევ ერთი ბურთით გაადიდეს ანგარიში. მატჩი დამთავრდა მოსკოვის “დინამოს” გამარჯვებით _ 3:1.

“ახალგაზრდა კომუნისტი”, 27 ოქტომბერი, 1949 წ.